შპს„ვიდისი“

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ---------- 5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია ---------- 6

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ---------- 6

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ---------- 6-10

ფინანსური მდგომარეობა		
	31/12/2023	**31/12/2022**
ფინანსური მდგომარეობა		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	162 168,00	387 221,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	767 942,00	484 037,00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	104 461,00	63 273,00
მარაგები	597 142,00	251 693,00
მზა პროდუქცია	0,00	0,00
სხვა	597 142,00	251 693,00
საინვესტიციო ქონება	0,00	0,00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4 280,00	33 378,00
ბიოლოგიური აქტივები	0,00	0,00
თვითღირებულების მოდელით	0,00	0,00
გადაფასების მოდელით	0,00	0,00
გუდვილი	0,00	0,00
სხვა არამატერიალური აქტივები	1 763,00	1 116,00
ძირითადი საშუალებები	600 396,00	156 653,00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0,00	0,00
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0,00	0,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0,00	0,00
სულ აქტივები	2 238 152,00	1 377 371,00
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0,00	0,00
სავაჭრო ვალდებულებები	776 074,00	554 958,00
ანარიცხები	0,00	0,00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0,00	0,00
საგადასახადო ვალდებულებები	145 790,00	12 495,00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0,00	0,00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	644 205,00	330 533,00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0,00	0,00
მიღებული გრანტები	0,00	0,00
სხვა ვალდებულებები	1 668,00	5 315,00
სულ ვალდებულებები	1 567 737,00	903 301,00
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0,00	0,00
საემისიო შემოსავალი	0,00	0,00
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	670 415,00	474 070,00
გადაფასების რეზერვი	0,00	0,00
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0,00	0,00
სულ საკუთარი კაპიტალი	670 415,00	474 070,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 238 152,00	1 377 371,00
სულ მოკლევადიანი აქტივები	0,00	0,00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0,00	0,00

დირექტორი /დ.ჯღარკავა/

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2023	**31/12/2022**
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	5 696 065,00	3 977 996,00
საქონლის გაყიდვიდან	2 686 294,00	1 976 594,00
მომსახურების გაწევიდან	2 955 221,00	1 989 681,00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0,00	0,00
სხვა	54 550,00	11 721,00
გაყიდვების თვითღირებულება	-4 419 617,00	-2 990 528,00
საწყისი მარაგები	0,00	0,00
მარაგების შესყიდვა	0,00	0,00
გადამუშავების დანახარჯები	0,00	0,00
საბოლოო მარაგები	0,00	0,00
საერთო მოგება	1 276 448,00	987 468,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0,00	42 947,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	-615 354,00	-473 899,00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-22 652,00	-7 035,00
საპროცენტო შემოსავალი	0,00	0,00
საპროცენტო ხარჯი	-83 086,00	-29 059,00
იჯარის ხარჯი	-38 664,00	-23 503,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-262 105,00	-23 843,00
სულ საოპერაციო ხარჯები	-1 021 861,00	-514 392,00
საოპერაციო მოგება	254 587,00	473 076,00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0,00	0,00
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0,00	0,00
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0,00	0,00
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	3 697,00	0,00
მიღებული დივიდენდები	0,00	0,00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	16 785,00	0,00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	275 069,00	473 076,00
მოგების გადასახადის ხარჯი	0,00	0,00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	275 069,00	473 076,00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0,00	0,00
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0,00	0,00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0,00	0,00
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	275 069,00	473 076,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	474 070,00	101 455,00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0,00	0,00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-90 972,00	-100 000,00
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	12 248,00	-461,00
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0,00	0,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	670 415,00	474 070,00

დირექტორი **/დ.ჯღარკავა/**

ფულადი სახსრების მოძრაობა		
	31/12/2023	**31/12/2022**
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-452 551,00	504 567,00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0,00	0,00
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	232 865,00	-112 268,00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-219 686,00	392 299,00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-5 367,00	-6 272,00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	387 221,00	1 194,00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	162 168,00	387 221,00

დირექტორი **/დ. ჯღარკავა/**

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიდისი” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 16 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 416345280.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, ზ. ფალიაშვილის ქ. #3, ბ. #5.

შპს „ვიდისი”-ს ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს: გენერატორების და უწყვეტი კვების წყაროების იმპორტი, ინსტალაცია-მომსახურება; სატრანსფორმატორო ქვესადგურის რეალიზაცია; ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა და სხვა ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მეწილეები არიან:

1. დიმიტრი ჯღარკავა (პ/ნ 35001062182) - 34%;
2. შპს ციცქო ჰოლდინგი (ს/კ 405363832) - 66%;

შპს „ვიდისი”-ს დირექტორი: დიმიტრი ჯღარკავა (პ/ნ 35001062182)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 22 თანამშრომელი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 1 იანვრიდან მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით. 2023 წლის 1 იანვრამდე კომპანიას ფინანსურ ანგარიშეგება წარდგენილი აქვს მე-4 კატეგორიის გამარტივებული ფორმით. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზირებული ღირბულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საცაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ანსხვა ხარჯებში.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოთ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონიმიკური სარგებლის გადინება.

გაუნაწილებული მოგება

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა).

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშო წელს, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება დივიდენდის განაწილებაზე.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა	30 წელი
მანქანა- დანადგარები	20 წელი
სამშენებლო ინსტრუმეტები და მოწყობილობა	5-7 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-8 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების თვითღრებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებში და არამატერიალური აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-.ატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თითეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულის ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

დირექტორი **/დ. ჯღარკავა/**

„16„ სექტემბერი 2024 წ.